*დანართი №1*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ელენე ბოდაველი |
| **წევრები:** |
| აკაკი სადუნიშვილი |
| ქეთევან ღვანიძე |
| მედეა ზურაბიშვილი |
| თორნიკე თუთარაშვილი |

1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------







--------- ----------------



------------ --

-------------

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

2დაწესებულების სახელწოდება: თავისუფალი ხედვის აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს
საიდენტიფიკაციო კოდი: 406460235

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------
---------- --
------------

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებების 10.10.2025 წლის MES 3 25 0001329952 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების "აღმზრდელი", "ბუღალტრული აღრიცხვა", "ინფორმაციის ტექნოლოგია", "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------- ----------- -- ------------

ქვეპუნქტის ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების, ასევე ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ბ.) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში 2025 წლის 30, 31 ოქტომბერს (მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50). ვიზიტამდე განხორციელდა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და ექსპერტებს შორის მიგნებების შეჯერება. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება. დაწესებულების სივრცეებისა და მატერიალური რესურსის დათვალიერება, რისი შედეგიც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში.

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მიმდინარე წელს მოიპოვა და პირველად დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. პირველადი ავტორიზაციის მოპოვების პროცესში, ექსპერტთა ჯგუფმა ხარვეზები გამოავლინა ხუთივე სტანდარტთან დაკავშირებით. შეუსაბამობების უმეტესი ნაწილი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული მთელი რიგირ მარეგულირებელი დოკუმენტებისა, რაც ავტორიზაციის სტანდარტებითა მოთხოვნილი. კერძოდ,

**პირველ სტანდარტთან დაკავშირებით:**

1. დაწესებულებას რეგულაციაში არ ჰქონდა გაწერილი სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **დაწესებულებამ უზრუნველყო მარეგულირებელ დოკუმენტში სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმების ასახვა.**
2. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა არ მოიცავდა მიზნის შესაბამის ამოცანებს. ამოცანების შესრულების ინდიკატორები ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, არ იყო გაწერილი შესრულების ვადები. სამოქმედო გეგმაში გაწერილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------
---------- --
------------

დასახელებები არ შეესაბამებოდა შინაარს და სხვა. **დაწესებულებამ დადგენილი რეგულაციით უზრუნველყო ცვლილებების შეტანა როგორც სტრატეგიული განვითარების, ისე სამოქმედო გეგმებში.**

3. დაწესებულებას რეგულაციაში არ ჰქონდა გაწერილი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობისა და გაზიარების მექანიზმები. **დაწესებულებამ უზრუნველყო მექანიზმის რეგულაციაში ასახვა და უზრუნველყო სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობა, შედეგების დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებით.**

**მესამე სტანდართან დაკავშირებით:**

1. დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, ასევე, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირების საკითხები დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები, კარიერული მომსახურების თაობაზე კვლევის ადმინისტრირების საკითხები. **დაწესებულებამ უზრუნველყო ახალი მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც სრულად აღწერს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების გაწევის მექანიზმებს.**

**მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით :**

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით იკვეთებოდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტი. **დაწესებულებამ, წესში ცვლილების შეტანით უზრუნველყო ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

2. დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად არ ჰქონდა დარეგულირებული შემდეგი საკითხები:პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში, პერსონალის შეფასება, შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის მონიტორინგი, პერსონალის პროფესიული განვითარება, პერსონალის წახალისება და სხვა. **დაწესებულებამ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სრულად აღწერს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მექანიზმებს.**

**მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით:**

1. დაწესებულებას არ ჰქონდა დარეგულირებული მატერიალური რესურსის გამოყენებისა და რესურსების შეფასებისა და განვითარების მექანიზმები. **აკადემიამ უზრუნველყო შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.**
2. დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. **აკადემიამ წარმოადგინა შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.**
3. კოლეჯი არ აფასებდა IT ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურობას. **სამოქმედო გეგმის ანალიზითა და ინტერვიურებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტურობის შეფასებას.**

**მეორე სტანდართან დაკავშირებით ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში:**

1. დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის მექანიზმი, სასწავლო რესურსების ადაპტირების საკითხი. **დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნული საკითხის ასახვა შესაბამის დოკუმენტში.**
2. დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული პროგრამასა და მოდულებში ცვლილების შეტანის მექნიზმი. **კოლეჯმა უზრუნველყო მექანიზმის გაწერა.**
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მექანიზმით არ იყო განსაზღვრული განმეორებით შეფასებაზე გასვლის საკითხი. დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი. **კოლეჯმა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

უზრუნველყო როგორც შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის შექმნა, ისე პროფესიული სტუდენტისათვის განმეორებით შეფასების უფლებით სარგებლობის საკითხის დარეგულირება.

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| აღმზრდელი | 144 | 74 | 0 | 4 |
| ბუღალტრული აღრიცხვა | 40 | 12 | 0 | 0 |
| ინფორმაციის ტექნოლოგია | 40 | 11 | 0 | 1 |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 40 | 12 | 0 | 0 |

ვიზიტის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა პროფესიულ სტუდენტთა საშემოდგომო მიღების საკითხიც. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ივკეთება, რომ ვაკანტური ადგილების მაქსიმალულრად შევსებას ელოდებიან ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა აღმზრდელის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისა. დაწესბულება ორ ცვლაში ახორციელებს სასწავლო პროცესს, მარეგულირებლით განსაზღვრული აქვს შაბათი დღის გამოყენების შესაძლებლობა, შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

დაგენილი რეგულაციითა და მეთოდოლოგიით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტების ყველა ჯგუფისთვის შესაბამისად განხორციელებას.

### IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ დაფიქსირებულა.*

## ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

### I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------

-------------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

-------------

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------





--------- ----------------




---------- --

-------------

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------







---------

----------------



----------



--

-------------

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **აღმზრდელი** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| ბუღალტრული აღრიცხვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ინფორმაციის ტექნოლოგია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

-------------

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ხარვეზი არ გამოვლენილა

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------







--------- ----------------





------------ --

-------------

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

**ინდიკატორი 1.2.1.1**

დაწესებულებამ უზრუნველყოს SWOT ანალიზის განახლება და კოლეჯის წინაშე, ამჟამად, არსებული გამოწვევების შესაბამისად ჩამოაყალიბოს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და და საფრთხეები/რისკები.

**ინდიკატორი 1.2.1.3**

დაწესებულებამ უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსის სახეობის დაკონკრეტება და ერთგვაროვანი მიდგომით განსაზღვრა, გამორჩენილი პუნქტის შევსება.

**ინდიკატორი 1.2.2. 1**

დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის ანგარიში საანგარიშო პერიოდში ორჯერ უნდა განხორციელდეს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

თუმცა, დაწესებულებას სამოქმედო გეგმის თანახმად 2025-2026 წელს ორჯერ აქვს გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. გამომდინარე აქედან, **სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში აღნიშნოს, რომ სტრაგეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულის გარდა შესაძლოა განახორციელოს საჭიროებიდან გამომდინარე.**

**ინდიკატორი 4.1.2.2**

აკადემიაში მოქმედი რეგულაციებით, ვაკანსიის შევსების ფორმად განსაზღვრულია: ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან და ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას. **პროფესიული განათლების სიტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პერსონალის შერჩევის მეტი მოქნილობისათვის დაწესებულებამ პერსონალის მართვის პოლიტკის დოკუმენტში გაწეროს პერსონალის აყვანის სხვა შესაძლებლობებიც, როგორიცაა პერსონალის აყვანა დანიშვნის გზით/პერსონალის მოძიება საკუთარი რესურსით.**

**ინდიკატორი 4.2.1.1**

**დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პერსონალის შეფასების საკითხი ასახოს დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.**

**ინდიკატორი 5.1.1.6**

სასურველია დაწესებულებამ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესების დოკუმენტში დააკონკრეტოს, მასალა/ნედლეულის შესყიდვის მოდულის დაწყებამდე განხორციელებაში უშუალოდ რა ვადას გულისხმობს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

**ინდიკატორი 5.1.1.7**

რეგულაციის თანახმად, რესურსების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგის განხორციელების ვადა ასახული უნდა იყოს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაში. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაში რესურსების მონიტორინგის საკითხი აღნიშნული არ არის, თუმცა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსების შეფასებასთან დაკავშირებით გაწერილია შემდეგი: 1.2.4 პუნქტი - მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება ( შეფასება დაგეგმილია 2026 წლის ივნისში). **დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია რესურსების შეფასების საკითხი და ვადა გაწეროს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაშიც.**

**ინდიკატორი 2.4.2.2**

**ყველა პროფესიული პროგრამისათვის** - ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი.

## VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნაში არსებული ფაქტობრივი მონაცემები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

### 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის 01/86 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, (წესი პირველად დამტკიცდა 2025 წლის 5 ივნისს, ცვლილება დაკავშირებულია აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებასთან, ინდივიდუალურ-ამინისტრაციული აქტები გამოიცემოდა ხელმძღვანელის ხელმოწერით, ცვლილებით, ხელმომწერ პირად განისაზღვრა აკადემიის დირექტორი, თავად წესში ცვლილებები არ განხორციელებულა). რომელშიც გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიდგომები, გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------
---------- --
------------

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და გაზიარება; მისიაში ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და საქმომედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში.

დაწესებულბამ წარმოადგინა აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 3 ივლისის N01/23 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. 2025 წლის 27 ივნისის N01/46 ბრძანებით სტრატეგიულ განვითარების გეგმაში განხორციელდა ცვლილება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა ცვლილებები, რისი საფუძველიც, მეთდოლოგიის თანახმად, დასაბუთებული ინიცირება გახდა. კერძოდ, წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერის 05.06.2025 წლის მოხსენებითი ბარათი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე. წარმოდგენილ იქნა თავისუფალი ხედვის აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (შვიდწლიანი ციკლური) ცვლილებების განხორციელების მიზნით, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) მონიტორინგისა და შეფასების, 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ აკადემიის ხელმძღვანელის 05.06.2025 წლის N01/34 ბრძანება. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არიან მეთდოლოგიით განსაზღრული დაინტერესებული მხარეები. დაწსებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სამი სამუშაო შეხვედრის ოქმი.

მეთოდოლოგიის თანახმად, სტრაგეგიული განვითარების დაგეგმვის პროცესი იწყება SWOT ანალიზით. აკადემიას SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში გაწერილი აქვს შემდეგი: ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი რესურსების საკმარისი რაოდენობის არქონა; სასწავლო რესურსების არასაკმარისი რაოდენობა, აკადემიის შიდა და გარე პერიმეტრის აუდიო-ვიდეო კონტროლით სრულყოფილად უზრუნველყოფის ნაკლებობა. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა როგორც რესურსები, ისე ვიდეო კონტროლის სისტემა, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე გასაუბრებისას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ SWOT ანალიზზე მუშაობისას აღწერილი სუსტი მხარეები მოცემულობას წარმოადგენდა, რისი აღმოფხვრაც დაწესებულებამ ვიზიტის დროისთვის უზუნველყო. დაწესებულება გეგმავს მონიტორინგის შედეგების ანალიზის შედეგად სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების განხორციელებას და შესაბამისად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

SWOT ანალიზიც გადაიხედება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და გაიცა შემდეგი **რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს SWOT ანალიზის განახლება და კოლეჯის წინაშე, ამჟამად, არსებული გამოწვევების შესაბამისად ჩამოაყალიბოს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და და საფრთხეები/რისკები.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება აკადემიის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. თანამონაწილოების უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველ ეტაპზე აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ციკლის (7 წლიანი) სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადებასა და საჯაროობას.

აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. აკადემიისთვის დაინტერესებული მხარეა პარტნიორთა კრება, აკადემიის დირექტორი, აკადემიის ხელმძღვანელი, ადმინისტრაცია; პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებლები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი ორგანიზაციები. აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყებისას, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა(ებ)ზე განიხილავს რელევანტურ დოკუმენტ(ებ)ს და საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს მათ. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილების შეტანის თაოაბზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რომლითაც დასტურდება პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. აღნიშნული დადასტურდა გასაუბრებებითაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 3 ივლისის N01/23 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა (ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 27 ივნისის N01/46 ბრძანებით). სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტი მოიცავს შემდეგს: კონტექსტის მიმოხილვა, აკადემიის საქმიანობის SWOT ანალიზი, მისია, ხედვა, ღირებულებები, თავისუფალი ხედვის აკადემიის სტრატაგიული განვითარების გეგმა 2024-2031წწ. დაწესებულებას გაცხადებული აქვს 4 სტრატეგიული მიზანი: აკადემიის ინსტიტუციური განვითარება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული სერვისების განვითარება და მხარდაჭერა, დაწესებულების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. აკადემიის სტრატეგიული მიზნები გამოდმინარეობს მისი მისიიდან: შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება და განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031 გაწერილია სტრატეგიული მიზნები (პირველი მიზანი მოიცავს 6 ამოცანას, მეორე მიზანი 5 ამოცანას, მესამე მიზანი 4 ამოცანას და მეოთხე მიზანი 5 ამოცანას), მიზნის მისაღწევი ამოცანები, ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსები, ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები. ამოცანები შესაბამისობაშია სტრატეგიულ მიზნებთან, რაციონალურადაა განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები. რაც შეეხება მიზნის მისაღწევი ამოცანების შესრულებისათვის იდენტიფიცირებულ რესურსებს, ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალურ, ადამიანურ და ფინანსურ რესურსთან ერთად რესურსად მითითებულია კანონმდებლობა (1.1), მონიტორინგის სისტემა (1.2), პროფესიული სტანდარტები (2.1) ან რესურსი სახეობა დეტალურადაა ჩაშლილი (მაგ, კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები და ა.შ.) 1.6 პუნქტში გამორჩენილია რესუსრის მითითება. აკადემიის წარმომადგენლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

განცხადებით, რესუსების ნაწილში მოიაზრეს ის საფუძვლებიც, რაზე დაყრდნობითაც განხორციელდება შესაბამისი ამოცანა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი **რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსის სახეობის დაკონკრეტება და ერთგვაროვანი მიდგომით განსაზღვრა, გამორჩენილი პუნქტის შევსება.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ბრძანება.
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031;
3. სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ;
4. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
5. სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები;
6. ინიცირების წერილი და მოხსენებითი ბარათები;
7. გასაუბრების შედეგი.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------- ------------ -- ------------

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის თანახმად, აკადემია ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - საანგარიშო პერიოდის შუაში და საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორჯერ-საანგარიშო პერიოდის შუაში და საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ.
შუალედური შეფასება ხორციელდება 3,5 წლის შემდგომ, რომლის საფუძველზეც შესაძლოა ცვლილება განხორციელდეს სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ხოლო საბოლოო შეფასება ხდება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. დაწესებულების 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში 1.1.2 პუნქტით გაწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი მიმდიანრე წლის დეკემბერსა და 2026 წლის ივნისში. სამოქმედო გეგმის ანგარიში მედოლოგიის თანხმად განსაზღვრულია ორჯერ, რაც შესაბამისადაა ასახული სამოქმედო გეგმაში, სტრატეგიული გეგმის ანგარიში საანგარიშო პერიოდში ორჯერ უნდა განხორციელდეს. თუმცა, დაწესებულებას სამოქმედო გეგმის თანახმად 2025-2026 წელს ორჯერ აქვს გათვალისწინებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგიც. გამომდინარე აქედან, **სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში აღნიშნოს, რომ სტრაგეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულის გარდა შესაძლოა განახორციელოს საჭიროებიდან გამომდინარე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------
---------- --
------------

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის თანახმად, მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ/წლიურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, აკადემიის ხელმძღვანელის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც სამუშაო ჯგუფის მიერ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის საფუძველზე შემუშავდა. ანგარიშიდან ირკვევა, რომ დაწესებულბამ გამოვლინა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებელი აქტივობები და გაანალიზია მათი საჭიროება შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებში და შესაბამისად ასახა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-11 მუხლის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ანგარიში განთავსდება დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესბულების ვებგვერდზე განთავსებულია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში (https://freeeduge.ge/files/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90/2024-2025%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20.pdf). შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგი საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სტრატეგიული განვითარების. მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა'
3. სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ;
4. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
5. ვებგვერდის დათვალიერების შედეგი;
6. გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

-------------

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას და მათთვის სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიწოდებას. სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ აკადემია აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტებთან, ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს და უწევს მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში.

დაწესებულებას აკადემიური ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე (N01/36 20.06.2025) შემუშავებული აქვს რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესებს, რაც ხელს უწყობს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას. მაგალითად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებულია სტუდენტებთან საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრების ჩატარების ვალდებულება, რომლებიც ხორციელდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად (N01/53 04.07.2025). აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სტუდენტთა მხარდაჭერასა და მათი ინიციატივების წახალისებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

აკადემიას ხელმძღვანელის **ბრძანების (N01/36, 20.06.2025)** საფუძველზე დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის, დასაქმების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის წესი, რომელიც არეგულირებს სტუდენტთა უფლებებს, ვალდებულებებს და აკადემიასა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის ფორმებსა და წესებს. სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, აკადემია ყოველწლიურად აორგანიზებას პირველკურსელთა კვირეულს, რომელიც მოიცავს: ა) აკადემიის ინფრასტრუქტურის გაცნობას; ბ) აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცედურებზე ინფორმირებას; გ) პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების გაცნობას; დ) სტუდენტური მომსახურებების პრეზენტაციას; ე) კლუბურ და სოციალურ აქტივობებში ჩართვას.

აკადემიის მმართველობით სტრუქტურაში, რომელიც დამტკიცებულია ხელმძღვანელის მიერ **(N01/79 27.08.2025)** გამოყოფილია შესაბამისი პირი — სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისებისა და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტებთან რეგულარულ კომუნიკაციაზე და ადაპტაციის პროცესის მხარდაჭერაზე. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტთა კომუნიკაცია და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია აქტიურად მიმდინარეობს სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე. პირველკურსელებსა და მობილობით გადმოსულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ სტუდენტურ კლუბებსა და სოციალურ-განათლებით აქტივობებში, რომლებიც რეგულირდება აკადემიის შიდა წესებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ყველა პროცედურა ხორციელდება კანონით დადგენილ ვადებში და აკადემიის შიდა





--------- ----------------
---------- --
-------------

საქმისწარმოების წესების შესაბამისად **(N 01/57 21.07.2025)** რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენლებს პირადად ან ელექტრონული ფორმით მიმართონ. კომუნიკაციის არხები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნული პროცედურები დარეგულირებულია შესაბამის შიდა დოკუმენტებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

ინტერვიუებისა და დოკუმენტების გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისებას, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. აკადემიის ხელმძღვანელის **2025 წლის 20 ივნისის ბრძანებით (N01/36) დამტკიცებული** „პროფესიული განათლების სტუდენტთა უფლებების დაცვის, დასაქმების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის წესი“ განსაზღვრავს არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისების მექანიზმებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჯგუფურად წარმოადგინონ საკუთარი იდეები და ინიციატივები, რომელთა განხილვა მიმდინარეობს სპეციალური კომისიის მიერ. აკადემია უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას ინიციატივების წარდგენის შესაძლებლობებზე და სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის მხარდაჭერას როგორც რესურსების, ისე კონსულტაციების თვალსაზრისით. ინიციატივები ფასდება მათი მიზნობრიობის, განხორციელებადობის, სტუდენტურ ცხოვრებაზე გავლენისა და რესურსების ოპტიმალურობის მიხედვით. აკადემია ყოველწლიურად გეგმავს სტუდენტებზე მორგებულ მრავალფეროვან ღონისძიებებს, მათ შორის ღია კარის დღეებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

---------- --

------------

აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით (N01/114, 27.10.2025) დამტკიცებულია კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტთა უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის მექანიზმებს. ამ საფუძველზე აკადემია გეგმავს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის განხორციელებას განსაზღვრული პერიოდულობით. დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს კითხვარები და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება კვლევა. როგორც ადმინისტრაციამ განმარტა კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება ანალიტიკური მიზნებისთვის — სტუდენტთა საჭიროებების, მოსაზრებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის. სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ დაწესებულება რეალურად ითვალისწინებს სტუდენტთა უკუკავშირს და მიღებული ინფორმაცია გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული განათლების სტუდენტთა უფლებების დაცვის, დასაქმების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის წესი ; **(2025 წლის 20.06 N 01/36)**
- სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები ;
- შინა განაწესის დოკუმენტი ; **(2025 წლის 01.04 N)1/79)**
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა ; **(2025 წლის 20.06 N01/36)**
- საქმის წარმოების წესი **(2025 წლის 21.07 N01/57)**
- პროფორიენტაციის აქტივობები ;
- დაწესებულების Facebook გვერდზე განთავსებული აქტივობები ;
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ; **(2025 წლის 27.08 N 01/78)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობა როგორც არსებული, ისე პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. მომსახურება მოიცავს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს, კარიერული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



---------  ---------------

----------  --

------------

დაგეგმვის ტრენინგებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ატარებს შეხვედრებს პარტნიორ ორგანიზაციებთან. სამოქმედო გეგმაში დეტალურად გაწერილია (**2025 წლის 20.06 N01/36**) კარიერული ღონისძიებების პერიოდულობა და განხორციელების სტრატეგია. დაწესებულებას ყავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მომუშავე კადრი, რომელიც უზუნველყოფს აღნიშნული აქტივობებსა და ინტერვენციების განხორცილებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

პროფესიული სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს არსებული და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას დასაქმებისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სხვადასხვა არხის საშუალებით — ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო და უშუალო კომუნიკაციით. სტუდენტებს პერიოდულად ეძლევათ ინფორმაცია დამსაქმებელთა მიერ გამოცხადებული ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამებისა და მოკლევადიანი პროექტების შესახებ. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა შრომით ბაზარზე ინტეგრაციას. აკადემიის პროფორიენტაციისა და კარიერული განვითარების მენეჯერი სისტემურად აგროვებს და განაახლებს ინფორმაციას დამსაქმებელთა მოთხოვნებზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს უკეთ დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარება. აღნიშნული საქმიანობა გაწერილია სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განახლებასა და მიზნობრივ კომუნიკაციას სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;**

სტუდენტებთან და პროფესიული დაწესებულების თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და შესწავლილი დოკუმენტების გაანალიზების შემდეგ გამოიკვეთა, რომ დაწესებულება გეგმავს კვლევის ჩატარებს პროფესიული სტუდენტების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის შემდეგ საქმინობასა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას. კვლევის პროცესისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები და კვლევეთი მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აკადემიის დირექტორის **2025 წლის 23 ივნისის №01/38 ბრძანებით** დამტკიცებული კითხვარი უზურნველყოფს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მდგომარეობის შესწავლას, შეძენილი ცოდნისა და უნარების შეფასებას პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებით, ასევე დამატებითი განათლების საჭიროების გამოვლენას. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას მისცემს დაწესებულებას შეისწავლოს, რამდენად ეფექტიანად უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულთა პროფესიულ ზრდასა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას. კითხვარი მოიცავს ასპექტებს, რომლებიც უკავშირდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, ასევე მატერიალურ-ტექნიკურ და სასწავლო რესურსებს. კითხვარში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული აკადემის მიერ სწავლების პერიოდში განსახორციელებელ/განხორციელებულ აქტივობებზე, რომელბიც სტუდენტებს კარიერული განვითარების დაგეგმვაში დაეხმარება/

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

ინტერვიუებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის განხორციელებას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. კვლევის მიზანი იქნება კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის დონისა და საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამ ეტაპზე დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რაც წარმოადგენს მომავალი კვლევის განხორციელების წინაპირობას. მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება მომსახურების გაუმჯობესებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების დახვეწის მიზნით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების სტუდენტთა უფლებების დაცვის, დასაქმების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის წესი ; **(2025 წლის 20.06  N 01/36)**
- სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები ;
- შინა განაწესის დოკუმენტი ; **(2025 წლის 01.04 N)1/79)**
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა ; **(2025 წლის  20.06 N01/36)**
- საქმის წარმოების წესი **(2025 წლის 21.07 N01/57)**
- პროფორიენტაციის აქტივობები ;
- დაწესებულების Facebook გვერდზე განთავსებული აქტივობები ;
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ; (**2025 წლის 23 ივნისის №01/38)**
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ; **(2025  წლის 27.08 N 01/78)**

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით* შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

----------- --

------------

## 4. ადამიანური რესურსები

### 4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

აკადემიიის დირექტორის 01.04.2024 წლის N 01/1 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია 27.08.2025 წლის N01/79 ბრძანებით) დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება, რომლითაც გაწერილია აკადემიის მართვის პრინციპები, განსაზღვრულია დაწესებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობები, სამუშაო აღწერილობები, საშტატო განრიგი და ანაზღაურების დარეგულირების პრინციპები. დოკუმენტით განსაზღვრულია დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების შემადგენლობა და ფუნქციები. დებულების თანახმად დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებად განსაზღვრულია შემდეგი: 1. პარტნიორთა კრება. 2. შპს დირექტორი, 3. დირექტორის მოადგილე, 4. აკადემიის ხელმძღვანელი, 5. ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლ ობის და საფინანსო სერვისების განვითარების მენეჯერი; 6.ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი; 7. სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი; 8. სწავლების, განვითარების და ინოვაციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

---------- --

------------

პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი; 9. საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი; 10. საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი; 11. ოფისის მენეჯერი - პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირი; 12. ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი; 13. სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი; 14. საბიბლიოთეკო სერვისების მენეჯერი; 15. ექთანი; 16. დამლაგებელი; 17. დისციპლინარული კომიტეტი. 18. სააპელაციო კომიტეტი. დაწესებულებას შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციი მქონე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ასევე, მომსახურების ხელშეკრულებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. აღნიშნული პირებების მიერ გასაწევი საქმიანობა რეგულირედება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა გაწერილია აკადემიის დებულებაშიც. დებულებაში სტუქტურული ერთეულების /თანამდებობების სამუშაო აღწერილობის ნაწილში მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო აღწერილობაც, ასევე აღნიშნული პოზიციები და მათი სტრუქტურული დაქვემდებარება ისახება დაწესებულების სტრუქტურაში. დაწესებულების სტრუქტურა არის აღქმადი. სტუქტურაში ასახულია საშტატო ერთეულები (არ არის ასახული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლებიც დასაქმებული არიან შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებით), ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს შორის დაქვემდებარება. სტუქტურის თანახმად, კოლეჯის მართვის უმაღლეს რგოლს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელსაც ექვემდებარება აკადემიის დირექტორი. აკადემიის დირექტორს თავის მხრივ დაქვემდებარებაში ჰყავს ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის და საფინანსო სერვისების განვითარების მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი, აკადემიის ხელმძღვანელი და დირექტორის მოადგილე. დირექტორის მოადგილეს დაქვემდებარებაში არ ჰყავს რომელიმე სტრუქტურული ერთეული. დებულების თანახმად, აკადემიის დირექტორის მოადგილე ეხმარება აკადემიის დირექტორს უფლებამოსილების განხორციელებაში, ასრულებს აკადემიის დირექტორის დავალებებს და პასუხისმგებელია აკადემიის დირექტორთან ერთად. ასევე, დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია აკადემიის საქმიანობის სამართლებრივ გამართულობაზე და აკადემიის შიდა რეგულაციების, პროცედურებისა და წესების შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

აკადემიის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაშია ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული. სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების მენეჯერს ევქმდებარებიან პროგრამის ხელმძღვანელებიი, პროფესიული მასწავლებლები და ოფისმენეჯერი- პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. ეს უკანასკნელი კომპეტენციის ფარგლებში პარალელურად ექვემდებარება საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერს. ექსპერტები აღნიშნული პრაქტიკის მოქნილობასთან დაკავშიებით გაესაუბრნენ ოფისმენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში შეფერხებას არ აქვს ადგილი, რადგან დეტალურადაა განსაზღვრული ის კომპეტენციები, რის ფარგლებშიც ექვემდებარება ზემოხსენებულ სტრუქტურულ **ერთეულებს.**
აკადემიას ასევე შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს თანამდებობის დასახელებას, შესასრულებელ დავალებებს, სამუშაო პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, რომ დაწესებულებაში დასაქმებისას გაეცნენ სამუშაო აღწერილობას, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, რაც ხელმოწერით დაადასტურეს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირიდი საქმიანობის განხორციელებას;**

აკადემიიის დირექტორის 01.04.2024 წლის N 01/1 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია 27.08.2025 წლის N01/79 ბრძანებით) დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება, რომელშიც სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობებია გაწერილი. დოკუმენტით დეტალურადაა განსაზღვრული კონკრეტული ერთეულის სამუშაოს აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი. ფუნქციების განაწილება და პასუხისმგებლობა ასახულია დაწესებულების სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებში. შესაბამისად, ფუნქცია პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

----------------

------------

**3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

აკადემიის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი უფლებამოსილია უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი გარე და არსებობის შემთხვევაში შიდა სტანდარტების მოთხოვნათა ინტერპრეტაცია და პერსონალის კონსულტირება ამ საკითხებში; დაგეგმოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი; მოახდინოს დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; მონიტორინგი გაუწიოს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას და შეფასებას, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირის, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურების, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ. დაწესებულების 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის და სტრატეგიული განვითარების გეგმების შესწავლით ასევე დასტურდება, რომ კონკრეტულ აქტივობებზე იმგვარადაა განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, რომ არ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტი. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა აკადემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დოკუმენტი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 27.08.2025 წლის 01/72 ბრძანებით), რომლითაც დასტურდება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა. თუმცა დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 64-ე მუხლის მე-7 ქვეპუნქტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი : „შუალედური შეფასების კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი“. აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელს ექსპერტთა ჯგუფისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდა, თუმცა დაეთანხა ექსპერტთა მოსაზრებას, რომ ფორმულირებაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში უზრუნველყო სასწავლო პროცესის წესში (ბრძანება N 01/116. 31.10.2025) ცვლილების განხორციელება. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მოქმედი ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

**ექსპერთა ჯგიფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება;
2. სამუშაო აღწერილობები;
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. სამოქმედო გეგმა;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა
8. გასაუბრების შედეგი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულების დირექტორის 13.06.2025 წლის N 01/35 ბრძანებით დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიაში ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. რომელიც აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. დოკუმენტის მიზანია ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს აკადემიის პერსონალის მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით აკადემიაში შეიქმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.

დოკუმენტით დარეგულიებულია ისეთ საკითხები, როგორიცაა, პერსონალის მართვის პრინციპები (დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, გამჭირვალობა, მიზანშეწონილობა, პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ხარისხზე ორიენტირება), პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმარება, თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარება და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და კომისიის მუშაობა, ახლადაყვანილი თანამშრომლის ინტეგრაცია, პერსონალის (მათ შორის პროფესიული მასწავლებლის, ინსტრუქტორის) შეფასება. შეფასების პერიოდულობა და შეფასების პროცესი, პერსონალის თვითშეფასების პრინციპები, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების პროცესის მონაწილე სუბიექტები, შეფასების პროცესში მონაწილე დასაქმებული უფლება-მოვალეობები, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმა, შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების გასაჩივრება, შეფასების სამართლებრივი შედეგები (ანაზღაურების ცვლილება, დაწინაურება, ვადაზე ადრე დანიშვნა (სტაჟირების შემთხვევაში), ფინანსური წახალისება, უფრო დაბალი რანგის პოზიციაზე გადაყვანა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება), პერსონალის წახალისება და განვითარება, წახალისების ფორმები (მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კვალიფიკაციის ასამაღლებელი ან პროფესიული გადამზადების კურსებზე გაგზავნა და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

ვაკანსიასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების საშუალებები:

- ვაკანსიის განთავსება დასაქმების პორტალზე - jobs.ge
- ვაკანსიის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე
- ვაკანსიის განთავსება ბეჭდურ მედიაში
- ვაკანსიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება დასაქმების სააგენტოსათვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიის დირექტორის 02.04.2025 წლის N01/20 ბრძანება თავისუფალი ხედვის აკადემიაში ადმინისტრაციულ საშტატო პოზიციებზე პერსონალის შერჩევის მიზნით ვაკანსიების გამოცხადებისა და სკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. ბრძანებით ირკვევა, რომ კონკურსი გამოცხადდა 6 ადმინისტრაციული პოზიციაზე. ვიზიტის დროს გასაუბრება მოხდა ყველა ადმინისტრაციულ პერსონალთან. მათი მხრიდან დადასტურდა შერჩევის დადგენილი პროცედურების გავლა, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია საკონკურსო კომისიის მუშაობის ოქმი.

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. დოკუმენტის თანახმად, დოკუმენტიც მე-6 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმარების საკითხი. კერძოდ, აკადემიაში პერსონალის შერჩევის დაგეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს: მოცემულ მომენტში აკადემიაში წარმოქმნილი საკადრო დეფიციტი; ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა; პერსონალის შეფასების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

ადმინისტრირებას ახორციელებს საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი და ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. **აკადემიაში მოქმედი რეგულაციებით, ვაკანსიის შევსების ფორმად განსაზღვრულია: ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან და ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას. პროფესიული განათლების სიტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პერსონალის შერჩევის მეტი მოქნილობისათვის დაწესებულებამ პერსონალის მართვის პოლიტკის დოკუმენტში გაწეროს პერსონალის აყვანის სხვა შესაძლებლობებიც, როგორიცაა პერსონალის აყვანა დანიშვნის გზით/პერსონალის მოძიება საკუთარი რესურსით.** პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულება მიმართავს პერსონალის შერჩევის ორივე ფორმას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა აკადემიის დირექტორის 02.04.2025 წლის N01/20 ბრძანება თავისუფალი ხედვის აკადემიაში ადმინისტრაციულ საშტატო პოზიციებზე პერსონალის შერჩევის მიზნით ვაკანსიების გამოცხადებისა და სკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. პერსონალმა დაადასტურა აკადემიაში ვაკანტური პოზიციის დაკავება კონკურსის გზით, რაც დასაქმების პორტალზე jobs.ge განაცხადის გაგზავნას და გასაუბრების ეტაპებს მოიცავდა, ასევე სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი აკადემიაში დასაქმებული იყო პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" მოდულის განმახორციელებლად და ხსენებულ პოზიციაზე არსებული საკადრო ბაზიდან დასაქმების ფარგლებში დასაქმდა. აკადემიის დირექტორის 02.04.2025 წლის N01/20 ბრძანებაში თავისუფალი ხედვის აკადემიაში ადმინისტრაციულ საშტატო პოზიციებზე პერსონალის შერჩევის მიზნით ვაკანსიების გამოცხადებისა და სკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ მითითებულია შემდეგი ინფორმაცია :სამუშაო პირობები (ადგილისა და სამუშაო დროის მითითებით. სამუშაო დროდ ყველა ვაკანსიის შემთხვევაში მითითებულია 09:00-17:00 საათები, თუმცა დაწესებულების შინაგანაწესით და ხელშეკრულებებით განსაზღვრულია 09:00 18:00 საათები), სამსახურეობრივი მოვალეობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უნარები და პიროვნული კომპეტენციები.

სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაქსიმალურად ობიექტური და ზუსტი შემოწმების უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე ახალი თანამშრომლის შესარჩევად აკადემიამ შეიძლება გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი - გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. აკადემიის დირექტორის 01.04.2024 წლის N01/1 ბრძანებით (ბოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------

-------------

ცვლილება შესულის 27.08.2025 წლის N01/79 ბრძანებით) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ პოზიციებზე შესაბამისი კადრის მოზიდვას. პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშკრულებებში გაწერილია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები, დარეგულირებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობაც, რაც ასევე გაწერილია დაწესებულიების შინაგანაწესში (მუხლი 5.16). დაწესებულების ელექტრონული საქმის წარმოების წესით (დამტკიცებულია 21.07.2025 წლის N 01/57 ბრძანებით) განსაზღვრულია პერსონალის პირადი საქმის დოკუმენტთა ნუსხა: პირადობის მოწმობის ასლი; საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - დადგენილი წესით ლეგალიზებული და დადასტურებული ასლი. აკადემიასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ერთი პირი (დედანი); წახალისების, აგრეთვე დისციპლინარული ხასიათის ღონისძიებათა გატარების შემთხვევაში - შესაბამისი დოკუმენტაცია; ავტობიოგრაფია ან CV; არსებობის შემთხვევაში - შრომის წიგნაკი, ან შრომის სტაჟის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია.
პერსონალის პირად საქმეში დამატებით შეიძლება ინახებოდეს: მასწავლებლის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე გაკეთებული განაცხადი; კონკურსის წესით დანიშვნის დოკუმენტის ასლი ან დამოწმებული ამონაწერი; შრომის წიგნაკი ან შრომითი სტაჟის დამადატურებელი სხვა დოკუმენტაცია; ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა აკადემიაში დასაქმებული ყველა პირის პირადი საქმე. ყველა პირად საქმეში დაცულია სავალდებულოდ მოთხოვნილი დოკუმენტები საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

აკადემიის დირექტორის 01.04.2024 წლის N01/1 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულის 27.08.2025 წლის N01/79 ბრძანებით) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც გაწერილია დაწესებულების საჭიროებებიდან გამომდინარე. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

**ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

აკადემიამ წარმოადგინა დაწესებულების რეგულაციების შესაბამისად სხვადასხვა მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობის ამსახველი ოქმები, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების და გეგმებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ასევე, სამსახურეობრივი ბარათები ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოს შესახებ და სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (დირექტორის 05.06.2025 წლის N01-34 ბრძანება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ, თავისუფალი ხედვის აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის (შვიდწლიანი ციკლური) და სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 24.06.2025 წლის N 1 ოქმი, 25.06.2025 წლის N2 ოქმი, 01.07.2025 წლის N3 ოქმი. ( სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებლად/შემსრულებლად/ჩართულ მხარედ მითითებულია რამდენიმე პირი, რაც სამუშაოს გუნდურად შესრულების აუცილებლობაზე, მიუთითებს. აკადემია ახორციელებდა მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს. პროფესიული პროგრამების განხორციელბა ახალი დაწყებული აქვს. პერსონალის უმეტესი ნაწილი ახალი დასაქმებული და აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს, პირველ საკითხად სწორედ გუნდურ გარემოს და გუნდური მუშაობის პრინციპს ასახელებდნენ. შესაბმისად, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

2. ადმინისტრაციულ საშტატო პოზიციებზე პერსონალის შერჩევის მიზნით ვაკანსიების გამოცხადებისა და სკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება;
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. დებულება;
5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. შინაგანაწესი;
7. საქმისწარმოების წესი;
8. პირადი საქმეები;
9. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
10. სამოქმედო გეგმა;
11. (დირექტორის 05.06.2025 წლის N01-34 ბრძანება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ;
12. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის (შვიდწლიანი ციკლური) და სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 24.06.2025 წლის N 1 ოქმი, 25.06.2025 წლის N2 ოქმი, 01.07.2025 წლის N3 ოქმი;
13. გასაუბრების შედეგი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

☐ არ შეესაბამება

### 4.2 პერსონალის განვითარება

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანხმად, აკადემიის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს აკადემიის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიაში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მიზანია აკადემიის დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. არსებული პრობლემების განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, იმ საჭიროებების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებით სწავლებისა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება, თანამშრომლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების (ხელფასის ზრდა, დაწინაურება, დისციპლინური ზომები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

წახალისება როტაცია და სხვა) შესახებ გადაწყვეტილების მიღება. პერდსონალის შეფასების ძირითადი პრინციპებია :სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა. თანამონაწილეობა და ინდივუდუალიზმის დაცვა. პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის შეფასება განხორციელდება შესაბამისი პირისა და პროფესიული სტუდენტების მიერ, კითხვარის საშუალებით. გაწერილია შეფასების კრიტერიუმები (მუხლი 12.1), ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხდება სამუშაო აღწერილობის შესაბამისად უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე. დასაქმებულთა შეფასება უნდა განხორციელდე წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. პერსონალმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ აქვს გაწეულის საქმინობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება და იციან, რომ განხორციელდება მათი შეფასებაც. დაწესებულების წარმომადგენლის განხადებით, საჭიროებთა კვლევისა და შეფასების შედეგების მიხედვით გაიწერება პეროსნალის განვითარების გეგმა. ამასთან დაწესებულების სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერსონალის საჭიროებათა კვლევის (პუნქტი 1.2.2, განხოცრიელების პერიოდი ნოემბერი-იანვარი და მაისი-ივნისი) და პროფესიული მასწავლებლების საჭიროებათა კვლევის აქტივობა, (პუნქტი 1.2.3, განხორციელების პერიოდი იანვარი და მაისი-ივნისი) თუმცა, არ არის გაწერილი პერსონალის შეფასების შესახებ აქტივობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პერსონალის შეფასება დაგეგმილია წლის ბოლოს. **დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პერსონალის შეფასების საკითხი ასახოს დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.**
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებათა კვლევას, კერძოდ, დოკუმენტის 9.2 მუხლით განსაზღვრულია შემდეგი: თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მიზანია აკადემიის დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. არსებული პრობლემების განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------





--------- ----------------



------------

------------

სამუშაო გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, იმ საჭიროებების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებით სწავლებისა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება, თანამშრომლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების (ხელფასის ზრდა, დაწინაურება, დისციპლინური ზომები, წახალისება როტაცია და სხვა) შესახებ გადაწყვეტილების მიღება.ცალკე პუნქტადაა განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საჭიროებათა კვლევა (მუხლი N12). საჭიროებათა კვლევა ემყარება პერსონალის შეფასების შედეგებს, რაც ხორციელდება წელიწადში ერთხელ. დაწესებულების სამოქმედო გეგმის 1.2.2 პუნქტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საჭიროებათა კვლევას (ნოემბერი-იანვარი და მაისი-ივნისის თვეებში) და 1.2.3 პუნქტი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევას.  დაწესებულებას არ აქვს პერსონალის განვითარების  კონკრეტული გეგმა შემუშავებული, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გეგმა კონკრეტულად გაიწერება საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის შესაბამისად, თუმცა სამოქმედო გეგმაში 1.4.1 პუნქტით განსაზღვრულია ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები, კვალიფკაციის ამაღლების კურსები, სასერტიფიკატო კურსები და სხვა), სამოქმედო გეგმის თანახმად, აღნიშნული აქტივობა სექტემბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს მოიცავს და ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს, რესურსად მითითებულია აკადემიის ბიუჯეტი, თუმცა კონკრეტული თანხა არ არის დადგენილი, განისაზღვრება საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად. . ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ორი ტრენინგის ჩატარების მტკიცებულება. 1. შეფასების სისტემა პროფესიულ განათლებაში (ჩატარდა აკადემიის შიდა რესურსით) და 2. სწავლების მეთოდოლოგია, შედეგებზე ორიენტირებული სწავლა- სწავლების დაგეგმვა და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (ტრენინგი ჩატარდა მოწვეული ექსპერტის მიერ, დაწესებულებამ წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება, გაფორმებულია 05.09.2025N 44/მ). პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილი ახალია სისტემაში და აღნიშნული ტრენინგების საჭიროება განსაზღვრული იქნა აკადემიის მხრიდან, საჭიროებათა კვლევის გარეშე. ტრენინგებზე დასწრება და მისი საჭიროება დადასტურდა მონაწილე პირების მიერ გასაუბრების დროსაც.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიალი განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის შეფასება ხორციელდება შესაბამისი პირისა და პროფესიული სტუდენტების მიერ, კითხვარის საშუალებით. აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებას შემდეგი კრიტერიუმით (მაქსიმუმ 30 ქულა): საკონტაქტო საათზე დასწრება, შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვება, შეფასების ინსტრუმენტის შეფასება, პროფესიული სტუდენტის ნამუშევარი, კალენდარული გეგმების შეფასება, პროგრამის/მოდულის განვითარების პროცესი, აკადემიის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა. აკადემია ასევე მიმართავს პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის საჭიროებათა კვლევას. შეფასება და საჭიროებათა კვლევის შედეგი არის პროფესიული განათლებლის მასწავლებლის განვითარების პროცესის დაგეგმვის საფუძველი. რეგულაციით შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული პროგრამების განამხორციელებელი პირების განვითარების აქტივობები, რომელიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში პერმანენტულად უნდა განხორციელდეს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი და განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი პირი. ინტეგრაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, სასწავლებლის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი პოლიტიკების, პროცედურებისა და წესების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და სასწავლებლის საზოგადოებაში ადაპტაციას. ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხიმგებელია საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი. ყოველ ახალდანიშნულ თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------ --

------------

საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნობს აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და აკადემიაში მოქმედ პროცედურებსა და წესებს. საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი ახალ თანამშრომელს აცნობს „სამუშაო აღწერილობას" და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. აკადემია იყენებს გამოკითხვას პერსონალის სოციალიზაციის შესახებ, რითაც ხელს უწყობს მათთვის კომფორტული და სასიამოვნო სამუშაო გარემოს ორგანიზებისთვის. პერსონალმა დაადასტურა პროცესში ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების მენეჯერის ჩართულობა, ასევე აღნიშნეს, რომ გაეცნენ შესაბამის დოკუმენტებს და აღნიშნული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურეს. დაწესებულებას სამოქმედო გეგმის 1.4.3 პუნქტით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა სოციალიზაცია ადაპტაციის ხელშეწყობის აქტივობა, რაც პერმანენტულად, მთელი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, ასევე ცალკე აქტივობად აქვს გაწერილი შინაგანწესისა და სხვა მარეგულირებელი აქტების გაცნობის აქტივობა. (1.4.2 პუნქტი) დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული აქტივობების სამოქმედო გეგმაში ასახვის საფუძველი არის ის, რომ კოლეჯს ახალი დაწყებული აქვს პროფესიული საგნამნათლებლო პროგრამების განხორციელება და შესაბამისად, კოლეჯის პერსონალიც ახლადდანიშნულია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

აკადემიის ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 21.4 მუხლის თანახმად, აკადემიის თანამშრომელს უფლება აქვს წარადგინოს პროფესიული განვითარების ინიციატივა. რაც შეიძლება მოიცავდეს: ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობას; პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს; საგანმანათლებლო პროექტების წამოწყებას; საგნობრივი სიახლეების დანერგვას; საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას; საგანმანათლებლო მასალების შემუშავებას. დოკუმენტით დარეგულირებულია ინიციატივის წარდგენის პროცედურა - ინიციატივასთან დაკავშირებულ განცხადებაში აღსაწერი საკითხები, მიმართვის ადრესატი, გადაწყვეტილების მიღების ვადა. გადაწყვეტილების შედეგის ფორმები. პერსონალმა გასაუბრებისას დადასტურა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

რომ აქვთ ინფორმაციას ინიციატივების მხადაჭერის შესაძლებლობასთან, თუმცა ხელმძღვანელობისათვის კონკრეტული ინიციატივებით არ მიუმართავთ.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. სამოქმედო გეგმა 2025-2026 წ.
3. ექსპერთან გაფორმებუი ხელშეკრულება ტრენინგის თაობაზე;
4. ტრენინგზე დასწრების ფურცლები;
5. გასაუბრების შედეგი.

~

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------
------------ --
------------

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

პსდ მდებარეობს ქ. თბილისში თრიალეთის ქ. N50 ნომერში. (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.19.20.018.010) და განთავსებულია სამ სართულიან შენობაში. აკადემიამ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება ძალაშია (გაფორმებულია 01.06.2024 ). ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 15 ივნისამდე და ითვალისწინებს გაგრძელების შესაძლებლობას. ხელშეკრულება გატარებულია საჯარო რეესტრში 1300 კვ მ ფართის სარგებლობის შესახებ. აღნიშნული შენობის ¼ წილის მფლობელი აკადემიის დირექტორია. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სკამები (400 ცალი), მაგიდები (120 ცალი), მოსწავლის მერხები (96). დასწესებულება ასევე ფლობს საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერებსა და სხვა ტექნიკურ საშუალებებსა და სასწავლო რესურსებს. ყველა სასწავლო ფართი აღჭურვილია შეასაბამისი რაოდენობის სკამებებით, მაგიდებით, ტექნიკური და სხვა მატერიალური საშუალებებით. აკადემიის ყველა სართულზე განთავსებულია ფოიეები, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს პირთა თავშეყრა მათ სასწავლო აუდიტორიებში გადანაწილებამდე. თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილია 16 სასწავლო აუდიტორიას, მათ შორის სამი აუდიტორია გათვლილია 24 /25კაციან ჯგუფებზე, , ასევე 3 კომპიუტერული კლასი, მათგან ორი 24 ადგილით, ერთი 25 ადგილით. ასევე დამატებითი აუდიტორიები - დაწესებულებას მესამე სართულის ნახევარ ფლიგელში აქვს აუთვისებელი სასწავლო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია მატერიალური რესურსით და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი გამოყენებაც. ადმინისტრაციული პერსონალისათვის გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო სივრცეები. ცალკე გამოყოფილია სამუშაო სივრცე პროფესიული მასწავლებლებისათვის და რამდენიმე სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულაბას პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სივრცე ბიბლიოთეკისათვის. რომელშიც განთავსებულია ცალკე სამუშაო სივრცე ბიბლიოთეკარისათვის, სადაც ასევე განლაგებულია სასწავლო რესურსი და სამუშაო სივრცე სუტდენტებისათვის/პროფესიული მასწავლებლებისათვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სკამ-მაგიდებით, კომპიუტერებით და პრინტერით. აკადემია 2024 წლიდან ფუნქციონირებს და ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს, თუმცა ჯერ საარქივო მასალები არ აქვს, შესაბამისად ჯერ არ აქვს შექმნილი არქივი, თუმცა დაწესებულების ფართი იძლევა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

შესაძლებლობას შეიქმნას სივრცე არქივისთვის. შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

დაწესებულების ხელმძღვანელის 26.06.2025 წლის N 01/43 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები. აღნიშნული წესის მე-7 მუხლით დარეგულირებულია მატერიალური რესურსით სარგებლობის საკითხი. წესის თანახმად, პროფესიული პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები. პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. აკადემიის ლაბორატორიით აკადემიის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, საბიბლიოთეკო რესურსებით. პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაკვეთილებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით. აკადემიის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცით. აღნიშნული დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

აკადემიას დასაქმებული ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ასევე 2025 წლის 27 ოქტომბრი 01/115 ბრძანებით დამტკიცებულიასანიტარულ-ჰიგიენური ნორმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

დაცვის წესი, აკადემიის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება აკადემიის ექთანს. დაწესებულების ექთანმა, გასაუბრების დროს დაადასტურა, დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი მისი პასუხისმგებლობაა. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესით განსაზღვრულია ყოველდღიური დასუფთავების ცხრილი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**
შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. აკადემია 2024 წლიდან ფუნქციონირებს და ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს, მსმენელები აქტიურად დადიან და ესწრებიან სასწავლო პროცესს. ექსპერტთა ვიზიტის დროსაც ჩართული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა. წარმოდგენილ იქნა კომუნალური გადასახადები, კერძოდ გაზის და ელ. ენერგიის ხარჯები, რაც ადასტურებს რომ აქტიურად გამოიყენება ცენტრალური გათბობის სისტემა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**
შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. კონსულტანტმა მომსახურება უნდა გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით. აკადემიაში დასაქმებულ პირთა რიცხვი არ აღემატება 100-ს, შესაბამისად № 01/31 ბრძანებით (11. 09. 2024) განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი 1 პირი (ს. მ). დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულების ხელმძღვანელის 26.06.2025 წლის N 01/43 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები, რომლის თანახმად გაწერილია ნედლეულით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები - სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი, სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი, ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის და საფინანსო სერვისების განვითარების მენეჯერი. წესით გაწერილია პროცესის თანმიმდევრობა. მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, ხორციელდება როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას, თუმცა კონკრეტულად მოდულის დაწყებამდე რამდენი დღით ადრე უნდა გაკეთდეს მოთხოვნა წესში გაწერილი არაა. **სასურველია დაწესებულებამ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესების დოკუმენტში დააკონკრეტოს, მასალა/ნედლეულის შესყიდვის მოდულის დაწყებამდე განხორციელებაში უშუალოდ რა ვადას გულისხმობს.** სასწავლო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფა დასტურდება პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებითაც.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

აკადემიაში მოქმედებს ხელმძღვანელის მიერ 24.10.2025 წლის N01/112 ბრძანებით დამტკიცებული თავისუფალი ხედვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა. რომელიც ციკლურია და ეყრდნობა PDCA მეთოდს. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები გამოიყენება აკადემიის საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტი შეფასებისა და განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია შეაფასოს რესურსების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. დოკუმენტით იდენტიფიცირებულია რესურსები და სერვისები, რომლის რეგულარული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

---------- --

------------

შეფასება დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, მათ შორის მატერიალური რესურსის. რეგულაციის თანახმად, რესურსების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგის განხორციელების ვადა ასახული უნდა იყოს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაში. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაში რესურსების მონიტორინგის საკითხი აღნიშნული არ არის, თუმცა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში რესურსების შეფასებასთან დაკავშირებით გაწერილია შემდეგი: 1.2.4 პუნქტი - მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება ( შეფასება დაგეგმილია 2026 წლის ივნისში). **დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია რესურსების შეფასების საკითხი და ვადა გაწეროს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაშიც.**

დაწესებულების ხელმძღვანელის 26.06.2025 წლის N 01/43 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესების დოკუმენტით განსაზღვრულია რესურსების რეგულარული შეფასების და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას. აკადემიას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების მართვისა და განვითარების გეგმის ფორმებიც.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

აკადემიის შენობაში, მეორე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები (2 კვანძი, მათგან 1 ადაპტირებული), რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილია ჰიგიენური დაცვის საშუალებებით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

ყველა სასწავლო ფართს, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილ სამუშაო ოთახებს და და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტრუდება ვიზუალური დათვალიერებით.
**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**
დაწესებულება დერეფნული სისტემითაა მოწყობილი, ყველა საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სივრცეს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, სივრცეები არ არის ერთმანეთში გამავალი. შესაბამისად, სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინიდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**
    მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. სასწავლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. იჯარის ხელშეკრულება;
2. შესყიდვის დოკუმენტები;
3. მატერიალური რესურსის ნუსხა;
4. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან  გაფორმებული ხელშეკრულება;
6.  დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. სანიტრაულ-ჰიგიენრი ნორმების დაცვის წესი;
8. ბიბლიოთეკის დებულება;
9. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა;
10. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგ„ა 2025-2026;
11. სამოქმედო გეგმა 2025-2026;
12. ვიზუალური დათვალიერება;
13. გასაუბრების შედეგი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------
---------- --
------------

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „ოპტიმუსი“ს მიერ აკადემიის შენობის ტექნიკური მდგრადობის საექსპერტო შეფასება, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 12 ივლისს. დასკვნის თანხმად, ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩა N50 მდებარე სასწავლო დანიშნულების სამსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი შემდგომი ექსპლუატაცია არის უსაფრთხო. აკადემიის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთოების სერვისების სააგენტოს მიერ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N190 (10.06.2025), რომლის თანახმადაც დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. აკადემიის დებულების თანხმად, დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი. მის ფუნქციებშია გათვალისწინებული სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის ტერიტორიაზე წესრიგისა და აკადემიის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გამოდმიანრე იქიდან, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, კოლეჯს დაცვასა და უსაფრთხოებაზე დასაქმებული ჰყავს ორი პირი. მეორე პირი საქმიანობას ახორციელებს 18:00 საათიდან 22:00 საათამდე. ამასთან, დაწესებულებას ობიექტის სიგნალიზაციით დაცვის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ორგანიზაციასთან შპს „ვიქტორია სექიურითი“ (ხელშეკრულების N25/ფ 01.07.2024 ), რომლის თანხმადაც, ხორციელდება აკადემიის შენობის დაცვა ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის საშუალელბით სიგნალიზაციაზე აყვანიდან მის მოხსნამდე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. 2024 წლის 22 აპრილის 01/15 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო უზრუნველყოფის მექანიზმები. აკადემიას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს ექთანი. აკადემიას აქვს შესაბამისი პირველადი დახმარების საშუალებები და ინვენტარი. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების საკითხი. დაწესებულბას აქვს ასეთ ჟურნალი, თუმცა, როგორც ექთანთან გასუბრებით ირკვევა, რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. დაწესებულება სასწავლოს პროცესს წარმართავს ორ ცვლაში, თუმცა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე განსაზღვრული პირის სამუშაო საათები 09:00-18:00 პერიოდს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

მოიცავს. რის შესახებაც გასაუბრება მოხდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან. აკადემიამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო შესაბამისი კადრის მოძიების პროცესი და დაიწყო მასთან შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი**

აკადემიამ წარმოადგინა ხელმძღვანელის 14.07.2025 წლის 01/55 ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლითაც განსაზღვრული საგანგებო შტაბის წევრები და მათ ფუნქცია-მოვალეობები. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 4 25 02450803 (01.08.2025), რომლითაც შეთანხმებულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის საგანგებო მართვის გეგმა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელია სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი. მის ფუნქციებშია გათვალიწინებული სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის ტერიტორიაზე წესრიგისა და აკადემიის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა. დაწესებულების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ჩანაწერის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. ამასთან, დაწესებულებას ობიექტის სიგნალიზაციით დაცვის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ორგანიზაციასთან შპს „ვიქტორია სექიურითი“ (ხელშეკრულების N25/ფ 01.07.2024 ), რომლის თანხმადაც, ხორციელდება აკადემიის შენობის დაცვა ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის საშუალებით სიგნალიზაციაზე აყვანიდან მის მოხსნამდე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ;
2. სახანძრო უსაფრთხოების დაცვა;
3. აკადემიის დებულება;
4. შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა;
5. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი;
6. დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. ექსთანთან გაფორმე ბული ხელშეკრულება;
8. დათვალიერების შედეგი.
9. გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. აკადემიას აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურა. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს აქვს სათანადო პარამეტრების კომპიუტერი, ასევე აკადემიას აქვს 3B გარემო, ორში 24 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის და ერთში 25 კომპიუტერი სტუდენტებისათვსი და 1 პროფესიული მასწავლებლისათვის. კომპანია სს ,,სილქნეტსა'' და აკადემიას შორის სააბონენტო ხელშეკრულება ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ (იურიდიული პირებისათვის ) №24/ფ გაფორმებულია 2024 წლის 1 ივლისს. აკადემიას აქვს როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმდა და დადასტურდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

**2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება N01/5-ით დამტკიცებულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა. კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არსებული პრობლემების დროულად მოგვარებაზე, ქსელის მართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი. IT რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რასაც ახორციელებს პასუხისმგებელი პირი პრევენციულად, აკადემიის კომპიუტერებში დაინსტალირებულია ანტივირუსული უზრუნველყოფა და ოპერაციული სისტემები დაცულია მავნე კოდის მქონე პროგრამებისგან (worm, trojan, ransomware) და ვირუსებისგან. აკადემიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია ფიზიკურად დაცულ ადგილას. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ის პრევენციულად ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პერმანენტულ მონიტორინგს პრევენციის მიზნით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 35/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან'' ს/კ 406460235. ხელშეკრულების თანახმად ,,ოფიცერი'' აკადემიას შეუსრულებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით პროფესიულ მონაცემთა დაცვის ოფიცერისთვის დაკისრებულ ფუნქციებს.

**ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

დაწესებულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია IT ინფრასტრუქტურის განვითარება. სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებით იკვეთება, რომ აღნიშნული IT ინფრასტრუქტურის შეფასების ანგარიშს ეყრდნობა. აღნიშნული პუნქტი გაწერილია მთელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

სასწავლო პერიოდზე. ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობის შემოწმებას, თუმცა შემოწმებისა და შეფასების პროცესს დოკუმენტურად არ აფორმებს. რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია. დაწესებულების ხელმძღვანელის 27.08.2025 წლის 01/72 ბრძანებით დამტკიცებულია თავისუფალი ხედვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა,. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები გამოიყენება აკადემიის საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტი შეფასებისა და განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთ-ერთი მიზანია დაწესებულების რესურსების, მათ შორის მატერიალური რესურსის (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) შეფასება. სამოქმედო გეგმის თანხმად, დაწესებულება საწავლო წლის ბოლოს განახორციელებს მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. როგორც ეს რეგულაციით აქვს განსაზღვრული და ასევე გაწერილია სამოქმედო გეგმაშიც. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული შეფასება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის შეფასებასაც გულისხმობს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

2024 წლის 1 აპრილის ბრძანება N01/5-ით დამტკიცებულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციის საშუალების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის. ვიზიტის დროს აკადემიის წარმომადგენლებმა გასაუბრებით დაადასტურეს აკადემიაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობა. სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი ელ. რესურსებისთვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში, კოლეჯის თავისუფალ სივრცეებში და ბიბლიოთეკაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის შესაქმნელად აკადემია იყენებს Office 365-ს და Microsoft Teams-ის ან/და Zoom ის პლატფორმას. Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმაზე ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემია იყენებს შესაბამის ანგარიშებს (Account). Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმის საშუალებით: პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ და ჩაატარონ ონლაინ ლექციები და შეხვედრები; პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აქვთ საშუალება დაუკავშირდნენ ერთმანეთს და აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შექმნან ჯგუფები და განიხილონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ დაწესებულება საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის ჯგუფებს. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისთვის აკადემიის ადმინისტრაცია იყენებს როგორც Office 365-ის ანგარიშებს. ონლაინ შეხვედრებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია ასევე იყენებს სხვა უფასო პროგრამებს, როგორიცაა Zoom, Google Meet და ა.შ. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისთვის, გარდა Microsoft Teams-სა აკადემია იყენებს სხვადასხვა პლატფორმებს: Gmail, Facebook, freeedu.ge

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. სილქნეტთან გაფორმებული ხელშკერულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------ --

------------

2. საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. 35/ ფ ხელშეკრულება გაფორმებული შპს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან“;
4. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა;
5. სამოქმედო გეგმა;
6. დაწესებულების facebook გვერდი;
7. დაწესებულების ვებგვერდი;
8. დათალიერების შედეგი;
9. გასაუბრების შედეგი.

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. აკადემიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია 2025 წლის 21 ივლისის 01/67 ბრძანებით. საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

-------------

გასული, შიდა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აკადემია კორესპონდენციებს იღებს საფოსტო განყოფილებიდან, ელექტრონულად და უშუალოდ წარმომადგენლისგან. აკადემია იყენებს ელ. ფოსტას freeeduge@gmail.com. კადემიაში შემოსული დოკუმენტი რეგისტრირდება მიღებისთანავე “eflow” ელექტრონულ პროგრამაში. აკადემიაში გამოიყენება 2 სახის ბეჭედი, ერთი აკადემიის ლოგოთი, მეორე ბრძანებებისთვის ,,ასლი დედანთან სწორია’’ და 1 შტამპი ,,შემოსული’’ წარწერით შესაბამისი კორესპონდენციებისთვის, ბეჭდები და შტამპი ინახება საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერთან. ელექტრონული საქმის წარმოების წესით გაწერილია დოკუმენტაციის სახეები, შემოსული კორესპონდენცის აღრიცხვისა და გაფორმების, დოკუმენტების გაფორმების, თათბირების დაოქმების, ხელშეკრულებების აღრიცხვის, დიპლომების გაცემის, დუბლიკატის გაცემის წესი და სხვა.
შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ ჩანაწერებს მოიცავს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის მუხლი 9, რომლის მიხედვით აკადემია დოკუმენტბრუნვისთვის იყენებს ელექტრონულ სისტემას eFlow-ს. eFlow-ს საშუალებით აკადემია უზრუნველყოფს აკადემიის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას არსებული პროცესების მხარდაჭერას, კომუნიკაციას, ინფორმაციის დამუშავებასა და დაცვას. ამ ეტაპზე სისტემაში 8 მომხმარებლის user-ით უკვე სარგებლობს კოლეჯი. აკადემია იყენებს Office 365-ს და Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმას. Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმაზე ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემია იყენებს შესაბამის ანგარიშებს (Account).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

დაწესებულება ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე მომზადების/გადამზადების პროფესიულ პროგრამებს და ასახული აქვს შესაბამისი ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე სრულყოფილადაა შევსებული დაწესებულების და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

აკადემიას საქმისწარმოების დებულებით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. ვიზიტის დროს გადამოწმდა eFlow-ს სისტემა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი, მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციების შემოწმების საფუძველზე დადასტურდა, რომ აკადემია დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი;

2. საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შედეგები; •

4. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია;

5. გასაუბრების შედეგები.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

------------ --

------------

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

აკადემიას აქვს ვებ გვერდი https://www.freeeduge.ge/, დომეინისთვის ვებგვერდის გაშვება ხორციელდება Hosting-ის საშუალებით. ასევე აქტიურად იყენებს სოც ქსელს(https://www.facebook.com/FreeVisionAcademy ), აქვს TikTok გვერდი. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებგვერდის ადმინისტრირებას ახდენს შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი. ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ გვერდს აქვს სიტყვით ძებნის ფუნქცია. ბიბლიოთეკის ველი ამჟამად, შეტანილია ,,კვლევის'' რუბრიკაში და რთულად მისაგნებია, თუმცა დაწესებულება გეგმავს „open biblio"ს ველის ინტეგრირებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულების მისიაში ხაზგასმულია განათლების ინტერნაციონალიზაცია. ვებ გვერდს აქვს ჩაშენებული ფუნქცია ინგლისურ ენაზე გადასასვლელად. დაწესებულება უცხოენოვან პროგრამებს არ ახორციელებს. ვიზიტის დროისათვის ნათარგმნი იყო მხოლოდ ველების სახელწოდება მასში შემავალი კონტენტი, ჩამონათვალის დონეზე. არ არის თარგმნილი თავად დოკუმენტაცია. მიმდინარეობს პროცესი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

აკადემიის 2025 წლის 27 აგვისტოს N 01/ 73 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და მათი ჩატარების გზები, აღწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესი. საზოგადოებასნ იერთიერთობისა და კომუნკაციის წესისის მიზანია სწორი და დროული ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებას, როგორც აკადემიის შიგნით, ასევე აკადემიის გარეთ, მიზანმიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით. აკადემიის ყველა თანამშრომელი, კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას. ვებ გვერდის და სოციალური ქსელის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი. აკადემია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამების კატალოგი ატვირთულია ველის „პროგრამები" ქვეშ. დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო მიმდინარე წელს, შესაბამისად, ატვირთულია 2025 წლის პროგრამების კატალოგი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მიმდინარე წელს მოიპოვა, შესაბამისად, მხოლოდ 2025 წლის კატალოგი აქვს, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, პროგრამაში ან/და დაწესებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიის 2025 წლის 27 აგვისტოს N01/73 -ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და მათი ჩატარების გზები, აღწერილია შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესი ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნით. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ამ ეტაპზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

სტანდარტული ხასიათის ინფორმაციის მოთხოვნაზე ხდება მიმართვა, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე დეტალების დაზუსტებასთან დაკავშირებით. თუმცა, სამომავლოდ მიღებულ უკუკავშირს გამოიყენებს დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.freeeduge.ge/,
2. დაწესებულების სოციალური ქსელი [https://www.facebook.com/FreeVisionAcademy](https://www.facebook.com/FreeVisionAcademy);
3. პროგრამების კატალოგი;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------





---------                ----------------




-------------

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | თავისუფალი ხედვის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის # 01/34 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. #50 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------
---------- --
------------

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | კოოპერაციული |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 144 პროფესიული სტუდენტი,<br>ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. #50 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 74 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

------------ --

------------

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება | სრული3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

**2.საგანმანათლებლოპროგრამები**

**2.2საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;***

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ  მოხდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სამი A (#309; #310 და #109 აუდიტორიები) და B გარემო (#312 ), თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 25 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, თითოეულ გარემოში, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 25 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს  პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ააიპ # 64 (14.08.2024წ. #38/მ ცვლილება 20.08.2025 # 38/მ – 1), ააიპ # 116 (14.08.2024წ. #39/მ ცვლილება 08.09.2025 #39/მ/1) და ააიპ #25  (10.09.2025 #44/მ) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ზემოაღნიშნული მოდულების საკუთარ ბაზაზე განხორციელება.  გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის წესები, უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა მათი ბაზაზე ყოფნის პერიოდში. პარტნიორ დაწესებულებებს   შესაძლებლობა აქვთ ჯამში მიიღონ 133 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------ --

------------

ექსპერტები გაესაუბრნენ ერთერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მისი დაწესებულება აქამდეც ახორციელებდა საკუთარი დაწესებულების ბაზაზე პროფესიული სტუდენტების მიღებას და მათი თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებას. აღნიშნული ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია 12 –ი, აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფით, დაწესებულებაში დასაქმებულია გამოცდილი და კომპეტენტური კადრით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკის განმავლობაში მონაცვლეობით შევიდნენ ყველა ჯგუფში, დააკვირდნენ აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათი ასაკის შესაბამისად მიმდინარე სასწავლო სააღმზრდელო პროცესს, ჯგუფში არსებულ წესებს, ყოველდღიურ რეჟიმს და სხვა;

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. *პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით,თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი,სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად,მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.
პროგრამით გათვალისწინებულია 21 დარგობრივი და 13 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებთან. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაოს ლოკაცია, დატვირთვა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------
---------- --
------------

უფლება მოვალეობები, სამუშაოს ანაზღაურების, და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. დანართის სახით ხელშეკრულებას თან ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს.
პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის აკადემიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;*

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.
ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის მიხედვითაც დადგინდა, რომ აღნიშნული პირები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში და აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. *საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა, ფუქნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

***5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;***

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი

ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. ***სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;***

სასწვლო პროცესის მარეგულირებელი წესის 49-52 მუხლებით გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომლის თანახმადაც შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ. ვიზიტის ფარგლებში მოდულების მიხედვით გადამოწმდა უწყისები. უწყისების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ინფორმირებულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვის წესისა და პრინციპების თაობაზე. დაწესებულება უზრუნველყოფს მტკიცებულებების 3 წლის, ხოლო შეფასების უწყისების უვადოდ შენახვას.

**ესქსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------- ----------- -- -------------

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 57-ე მუხლით დარეგულირებულია შეფასების შედეგების მონიტორინგის საკითხი. დაწესეულება სასწავლო წლის დასრულებისას განახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს, რა დროსაც უნდა შეფასდეს პირველ ჯერზე დადასტურებული სწავლის შედეგები, განმეორებითი შეფასების რაოდენობა, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და სხვა; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების განვითარებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. წესის თანახმად, შეფასების შედეგების გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად, რაც ინტერვიუს დროს დადასტურდა პროფესიული სტუდენტების მხრიდან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლი*

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ.

3. შეფასების უწყისები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

4. გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

| | |
|---|---|
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 40 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 12 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

-------------

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

-------------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.2** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,კომპიტერული ქსელი და სისტემები'' განახორციელებს თბილისში არსებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს სამგორის რაიონი, თრიალეთის ქუჩა N 50 . პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს B გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით, შესაბამისი მონაცემების მქონე კომპიუტერებით, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია პროგრამულად. B გარემო გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 24 პროფესიულ სტუდენტზე, 25 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა, პრინტერითა და პროექტორით. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროგრამის სპეციფიკა საჭიროებს უმეტესად B გარემოს სრულად. აკადემიას სულ სამი B გარემო აქვს. ამ პროგრამის გარდა ,,ინფორმაციული ტექნოლოგიის'' პროგრამასაც სრულად B გარემო ჭირდება, მესამე B რჩება სხვა ყველა პროგრამისთვის. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის'' პროგრამებისთვის ორი B გარემო მდებარეობს აკადემიის მესამე სართულზე, თითო 24 ადგილით და შესაძლებელია თითო პროგრამაზე 2 ცვლიანი სწავლების შემთხვევაში 2 ჯგუფის მიღება ანუ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

პროგრამის ფარგლებში სულ 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამა მოიცავს მხოლოდ 5 მოდულის, რომელიც არ საჭიროებს კომპიუტერულ კლასს, თუმცა ვინაიდან თეორიული სწავლებისთვის A გარემოები 12 ადგილიანია ეს მოდულებიც განხორციელდება B გარემოში, ვინაიდან ერთდროულად 20 პირი იყოს ჯგუფში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 4 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, ხოლო 21 - ზოგად მოდულებს . მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

განმახორციელებლებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტესობას აქვს პროგრამის განხორციელების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გამოცდილება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია .ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**
დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება- შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა– დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------ --

------------

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ხელმძღვანელის 2024 წლის 22 აპრილის #01/14 ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესის (ბოლო ცვლილება შესულია 2025 წლის 25.06 N 01/40 ბრძანებით ) მე-7 მუხლით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: სასწავლო რესურსების დროულად და ადეკვატურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სასწავლო რესურსების ადაპტაცია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და სირთულეების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შეფასება და სასწავლო რესურსების ადაპტაციის გეგმის შემუშავება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფთან კოორდინაციით (პედაგოგი, სპეციალური პედაგოგი, და სხვა შესაბამისი პირები). წესის თანახმად, აკადემია იღებს ვალდებულებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

------------

უზრუნველყოს: სასწავლო მასალის ადაპტაცია სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (მაგალითად, ტექსტი დიდი შრიფტით, აუდიო/ვიდეო ვერსია, მარტივ ენაზე მომზადებული ვერსია, ბრაილის შრიფტი და ა.შ.); საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით (მაგ. ეკრანის წამკითხავი პროგრამა, სპეციალური კლავიატურა. პედაგოგები ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ სსსმ პირის სასწავლო რესურსების გამოყენების სპეციფიკას და მოახდინონ შესაბამისი ადაპტაცია სასწავლო პროცესში. სპეციალური მასწავლებელი აფასებს სსსმ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს სასწავლო რესურსებთან მიმართებაში; უზრუნველყოფს შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო მასალების შერჩევას და შემუშავებას, მათ შორის ალტერნატიული ფორმატების (ბრაილის შრიფტი, აუდიო მასალა, მარტივი ენა და სხვა) გამოყენებას; თანამშრომლობს პედაგოგებთან, ბიბლიოთეკარებთან და IT პერსონალთან სასწავლო რესურსების ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; აფასებს ადაპტირებული რესურსების ეფექტურობას. დაწესებულებას მომსახურების ხელშკრულებით დასაქმებული ჰაყვს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰყავს სსსმ პროფესიული სტუდენტი

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

**6. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები’ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი; შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, საკანცელარიო და საოფისე, დიპლომის დანართის გაცემის, სასწავლო ვიზიტისა და პრაქტიკის ორგანიზების, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, პერსონალის განვითარების, იჯარის, გაუთვალისწინებელ და ამორტიზაციის ხარჯებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანერბა;
2. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
3. „სსსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
4. განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
5. პროგრამის ბიუჯეტი;
6. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

------------ --

-------------

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

თავისუფალი ხედვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დოკუმენტის (დამტკიცებულია დირექტორის 24.10.2025 წლის 01/112 ბრძანებით) მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული განათლების პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განვითარების საკითხს. ამასთან, დაწესებულების ხელმძღვანელის N01/12 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“ , რომლის პირველი მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებს. წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად 1. პროგრამის მიმდინარეობისას და 2. პროგრამის დასრულების შემდეგ. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზის გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან. პროგრამის განხორციელება ფასდება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. სწავლების ყოველი ეტაპის ბოლოს, პროგრამის შეფასების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ მოდულისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის , კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

**2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულების ხელმძღვანელის 03.04.2024 წლის N01/8 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2025 წლის 27 აგვისტოს N01/76 ბრძანებით) დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი. წესით განსაზღრულია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში, შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლიელბების განხორციელება შესაძლებელია აკადემიის ინიციატივით ან პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევა. აკადემიის ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. წესით განსაზღვრულია ის გარემოებები, რის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს ცვლილების ინიცირება. გაწერილია პროცედურა. დოკიუმენტით განსაზღრულია რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს პროგრამაში, როდესაც ცვლილება აკადემიის ინიციატივითა განხორციელებული. პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკადემიის მიერ აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ექსპერთთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დოკუმენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

----------- --

------------

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა;
3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით* შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

-------------

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

2025 წლის 27 აგვისტოს N01/78 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება. სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მე-9 -მე-11 მუხლები). გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესბულებას არ ჰქონია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად, არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

---------- --

------------

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ სჭირდება უსაფრთოხების განსაკუთრებული ნორმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმები. ასევე შემუშავებულია ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენას, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. შრომის უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ 34/ ფ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,საქართველოს შრომის უსაფრთხოებს ინსტიტუტთან ს/კ 402145585. რომელიც გამოყოფს შესაბამის პირს, კონსულტანტს. მას დაევალება გაუწიოს აკადემიას სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავებასთან, დანერგვასთან და მართვასთან დაკავშირებით.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფსიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
3. შრომის უსაფრთხოებაზე სესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
4. გასაუბრების შედეგები.

**2.4.1** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ---------------

---------- --

------------

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, კერძოდ, წესის 39- 58 მუხლებით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: შეფასების სიტემის პრინციპები, შეფასები სახეები, შეფასების მიმართულებები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, შეფასების ისნტრუმენტის განახლება, შეფასების გაფორმება და შეფასების პროცესის ადმინისტრირება, სტუდენტა ინფორმირე,ა. აპელაციის პროცედურა, განმეორებითი შეფასების პროცედურა, შეფასების მონიტორინგი. დაწესებულებას გაწერილი აქვს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურები, თუმცა რეგულირებად ან სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ ახორციელებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, წესი შეიმუშავეს 416-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანამდე, თუმცა ცვლილების შემდეგ არ დააკორექტირეს, რადგან სამომავლოდ არ გამორიცხავენ რეგულირებადი ან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ----------------

---------- --

-------------

დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 თავში გაწერილია ვერიფიკაციის მექნიზმები, რომლითაც დარეგულირებულია ვერიფიკაციის პროცედურების, მიმართულების და სახეების საკითხი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შემდეგი საკითხები: ვინ არის პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ.

ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები აკადემიის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ვერიფიკაციის წესში არ ფიქსირდება დარგის ვერიფიკატორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი **რეკომენდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში გაწეროს როგორ მოხდება ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტის შერჩევა და ჩართვა ისე რომ გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტი. დაწესებულებას პროფესიულ საგნმანათებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის განხორციელება დაგეგმილი არ აქვს.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

სასწვლო პროცესის მარეგულირებელი წესის 49-52 მუხლებით გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომლის თანახმადაც შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



---------    ----------------

---------- --

------------

ხოლო უწყისები უვადოდ. ვიზიტის ფარგლებში მოდულების მიხედვით გადამოწმდა უწყისები. უწყისების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ინფორმირებულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვის წესისა და პრინციპების თაობაზე. დაწესებულება უზრუნველყოფს მტკიცებულებების 3 წლის, ხოლო შეფასების უწყისების უვადოდ შენახვას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 57-ე მუხლით დარეგულირებულია შეფასების შედეგების მონიტორინგის საკითხი. დაწესეულება სასწავლო წლის დასრულებისას განახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს, რა დროსაც უნდა შეფასდეს პირველ ჯერზე დადასტურებული სწავლის შედეგები, განმეორებითი შეფასების რაოდენობა, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და სხვა; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების განვითარებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. წესის თანახმად, შეფასების შედეგების გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად, რაც ინტერვიუს დროს დადასტურდა პროფესიული სტუდენტების მხრიდან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

--------- ---------------

---------- --

------------

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლი*

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ.
3. შეფასების უწყისები;
4. გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------- --

-------------

*ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | |
| პროფესიული განათლების დონე | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | |
| 2024 წლის 19.09 01/34 ბრძანება | |
| პროგრამის განხორციელების ენა | |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



---------

----------------

--------------------

------------

| | |
|---|---|
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.*

***ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.***

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

............................................................................................................................................................

............................................................................................................................................................

............................................................................................................................................................

............................................................................................................................................................

.....................

თარიღი 10.12.2025



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------



--------- ----------------

------------ --

------------